ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 9 აგვისტო

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 12

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. მერაბ ფილიპია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თემურ გულუა
10. კახა ლატარია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 7 აგვისტოს N05/3494 წერილის განხილვა („საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 7 აგვისტოს N05/3494 წერილის განხილვა („საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 1 აგვისტოს N01-08-02 განკარგულების შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლის თანახმადაც, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის შესაბამის საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცემათ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ასევე საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოეყოფათ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - განაცხადა, რომ ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში საარჩევნო უბანი ისევ, ახალი ხიბულის საჯარო სკოლის შენობაშია განთავსებული, სადაც ფართი პატარაა და კომისია ვერ ახერხებს ნორმალურად მუშაობას,

უკეთესი იქნებოდა, საარჩევნო კომისიის თუნდაც ახალი ხიბულის კლუბის შენობაში გადატანა.

მ. ქარდავა - განაცხადა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა საოლქო საარჩევნი კომისიის პრეროგატივა იყო და გამომდინარე აქედან, ვერ ჩაერეოდნენ საოლქოს კომპეტენციაში, მითუმეტეს დისლოკაციის ადგილი 1 ივლისიდან განსაზღრულია.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა